საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრი
PUBLIC SAFETY ANALYTIC CENTER

ტექნიკა და უსაფრთხოება

N7 2023

ანალიტიკური, სამეცნიერო-შემეცნებითი ჟურნალი

TECHNIQUES & SAFETY



- სუაც-ის კანონთან შესაბამისობის ცვლილება
- სუაც-ის მიერ 2023 წელს შრომის უსაფრთხოების საკითხებში გაწეული მომსახურების ანგარიში
- სუაც-ის მიერ 2023 წელს განხორციელებული მომზადება-გადამზადების პროგრამები
- საქართველოს მოქალაქეთა მსოფლმხედველობის კვლევა, წინა საარჩევნო განწყობაზე დაყრდნობით
- სიტყვის ფენომენის საფუძვლები
- სიტყვის არსის ზეგავლენა სიცოცხლის თვისებაზე
- უპილოტო საავიაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობები საქართველოს მახლობელ რეგიონში
- ასტროლოგიური ნიშნები და მათი მკვიდრი ანგელოზების დანიშნულება

ტექნიკა და უსაფრთხოება

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
გიორგი გრატიაშვილი

რედაქტორები:
ზვიადი ღვინიაშვილი
ვალერი ჯაჯანიძე
თეა ბარამიძე
გივი სანოძე

გამომცემლობა:
საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
გ.ჩუბინაშვილის ქ.27
ტელ: *577 41 66 20*
599 39 20 38
Email: info@psac.ge; psacge@gmail.com
www.psac.ge

მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია.

ყურადღება!
გამოიწერეთ **"ტექნიკა და უსაფრთხოება"** და მიიღეთ მისამართზე წელიწადში ერთხელ!
ტელ: *577 41 66 20*

ISSN 2587-5515

3 **უსაფრთხოება**
სუაც-ის კანონთან შესაბამისობის ცვლილება

5 **უსაფრთხოება**
სუაც-ის მიერ 2023 წელს შრომის უსაფრთხოების საკითხებში გაწეული მომსახურების ანგარიში

8 **უსაფრთხოება**
სუაც-ის მიერ 2023 წელს განხორციელებული მომზადება-გადამზადების პროგრამები

9 **მეცნიერება**
საქართველოს მოქალაქეთა მსოფლმხედველობის კვლევა წინა საარჩევნო განწყობაზე დაყრდნობით

15 **მეცნიერება**
სიტყვის ფენომენის საფუძვლები

22 **მეცნიერება**
სიტყვის არსის ზეგავლენა სიცოცხლის თვისებაზე

24 **მეცნიერება**
უპილოტო საავიაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობები საქართველოს მახლობელ რეგიონში

29 **მეცნიერება**
ასტროლოგიური ნიშნები და მათი მკვიდრი ანგელოზების დანიშნულება

სტატიის ავტორთა მიერ, მასალათა ძირითადი ნაწილი მომზადებულია ინტერნეტ რესურსებზე და მათ შორის სხვა ღია წყაროებზე დაყრდნობით.

სუაც-ის კანონთან შესაბამისობის ცვლილება

2022 წლის 01 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში კერძოდ კი ,,მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში", მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. ცვლილებები შეეხო შემდეგ იურიდიულ პირებს: შეზღუდული პასუხისგმებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს), არაკომერიცული იურიდიული პირი (ააიპ), კომანდიტური საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) და კოოპერატივი.

ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ძველ კანონში არსებული ის ხარვეზები და უზუსტობები, რომელიც ართულებდა სამეწარმეო საზოგადოებების ოპერირებას ბაზარზე და უქმნიდა უამრავ ფორმალურ წინაღობას. შესაბამისად იურიდიული პირის ახალ კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად, ყოველი საზოგადოება ვალდებულია 2023 წლის ბოლომდე მოახდინოს საკუთარი საზოგადოების სამართლებრივი დოკუმენტაციის, წესდების, სადამფუძნებლო შეთანხმების, კანონთან შესაბამისობაში მოყვანა და ცვლილებების რეგისტრაცია. იმისათვის, რომ საზოგადოება მოვიდეს კანონთან შესაბამისობაში, საჭიროა შემდეგი სახის დოკუმენტაციის განახლება:

- საერთო კრების ოქმი;
- სადამფუძნებლო შეთანხმება;
- განახლებული წესდება (რომელიც შეიძლება იყოს როგორც ზემოთ მითითებული სტანდარტული წესდება, ასევე საზოგადოების პარტნიორების მიერ შედგენილი ინდივიდუალური წესდება);
- დირექტორის თანხმობა თანამდებობის დაკავების შესახებ;
- ზემოთ მითითებული ინფორმაცია წარმოადგენს ზოგად ინფორმაციას. თითოეული დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს ინდივიდუალურად, საზოგადოების

პარტნიორების ინტერესებისა და საზოგადოების ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე.

ზემო აღნიშნულთან დაკავშირებით ა(ა)იპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრის იურიდიულ სტატუსში განხორციელდა წესდების და სახელწოდების ცვლილება სხვა დოკუმენტებთან ერთად. ცვლილება შეეხო ლათინურ სახელწოდებას, რომელშიც Public Security Analysis Center (PSAC) შეიცვალა Public Safety Analytic Center (PSAC)-ით.

წესდებაში, 1 მუხლის ზოგად დებულებებაში დაემატა მე-6 და მე-7 მუხლი, რომელშიც ვკითხულობთ:

6. კომერციული და არა კომერციული, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებთან „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო სტანდარტების განსაზღვრა, დაგეგმვა და უზრუნველყოფა;

7. როგორც დაინტერესებულ პირთათვის, ასევე კომერციული და არა კომერციული, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებთან, შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონით, გარემოს დაცვის კანონის, ნიადაგის დაცვის კანონის, ნარჩენების მართვის კოდექსით და პროფესიული განათლების კანონის მიზნებით, და არა მხოლოდ, განსაზღვრული სწავლებების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟების წარმოება და სხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა.

აღნიშნული ცვლილებებით, ა(ა)იპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრი, 2023 წლის მაისიდან, სრულ შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ,,მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში" განხორციელებული ცვლიებების მიმართ.

გ.გრატიაშვილი

სუაც-ის მიერ 2023 წელს შრომის უსაფრთხოების საკითხებში გაწეული მომსახურების ანგარიში

ა(ა)იპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრი", შემდგომში სუაც-მა 2023 წელს, შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების კუთხით შემდეგი ქმედებები განახორციელა:

1. **ადმინისტრაციული და პროცედურული**

სუაც-მა, საერთაშორისო პრაქტიკის და ქვეყანაში მოქმედი შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონის გათვალისწინებით, ჩვენი მომსახურებით მოსარგებლე ობიექტების დასაქმებული თანამშრომლების შრომითი პირობების გაუმჯობესების და არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებისთვის შესაბამისი რეკომენდაციები შეიმუშავა.

2023 წელს დადგენილი პერიოდულებით სუაც-ის ყველა მოქმედ ობიექტზე ხორციელდებოდა მონიტორინგი.

2023 წლის დეკემბრის თვეში სუაც-ის შრომის უსაფრთხოების საკითხებში უფროსმა სპეციალისტმა, განახორციელა არსებული პროცესებიდან მომდინარე საფრთხეების, ხელმეორედ შეფასება და ნარჩენი რისკების გადახედვა, ქვეყანაში მოქმედი წესის და მეთოდოლოგიის შესაბამისად (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №0115/ნ, მიღ: 2020 წლის 30 იანვარი), განახლდა არსებული და კომპანიის მიერ დამტკიცებული რისკის შეფასების დოკუმენტი;

სუაც-ის შრომის უსაფრთხოების საკითხებში უფროსი სპეციალისტის მიერ, მომზადდა სპეციფიკური სამუშაოების განმახორციელებელი პირების, შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის ვრცელი ინსტრუქცია/სწავლებით.

სუაც-ის მიერ მომზადდა სუაც-ის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, შემთხვევების და ინციდენტების, ტრენიგების/სწავლებების აღრიცხვის ჟურნალები;

2. **ინფრასტურქტურული და ტექნოლოგიური**

სუაც-ის რეკომენდაციით, ჩვენი სერვისით მომსახურე ზოგიერთმა ობიექტმა, მიმდინარე წელს შრომითი პიროებების გაუმჯობესების და უზრუნველყოფის მიზნით, მათ კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული საწყობის შენობას ჩაუტარეს რეკონსტრუქცია და მოაწყეს სამეურნეო სამსახურისათვის კეთილმოწყობილი სამუშაო ოფისი დამხმარე სათავსო ოთახით, სასაწყობე ფარდული და საპირფარეშო/პირსაბანი.

თავი II: სუაც-ის სერვისით მომსახურე ობიექტების, 2023 წელს რეგისტრირებული ინციდენტების და უბედური შემთხვევების/სხეულის დაზიანების წლიური ანგარიში.

უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს, მიუხედავად შრომითი აქტივობებისა, სუაც-ის სერვისით მომსახურე ობიექტებში, სამუშაო პროცესით გამოწვეული ინციდენტები არ დაფიქსირებულა.

თავი III: შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მონიტორინგის შედეგების შეფასებაზე დაყრდნობით გატარებულ იქნა რეკომენდირებული ღონისძიებები:

1. რეკომენდირებული პროცედურულ/ადმინისტრაციული ღონისძიებები სუაც-ის სერვისის მომხმარებელთა ყველა ობიექტისთვის.

- შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული ჟურნალების და სხვა დოკუმენტაციის მოწესრიგებულად წარმოება/შენახვა;
- ობიექტების ცენტრალურ ოფისში არსებული ინფრასტრუქტურის და ტრანსპორტის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ყოფნა;
- ტერიტორიის სისუფთავე და დასაქმებულების პირადი ჰიგიენა;

ობიექტების მმართველობაში არსებულ სამუშაო სივრცეში აკრძალული ქმედებები:

- თამბაქოს მოწევა.
- არაფხიზელ მდგომრაობაში ყოფნა.

ობიექტის თანამშრომლების სამედიცინო მომსახურება.

- საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლების პერიოდული შემოწმება დაავადებებზე.
- ჯანმრთელობის მდგომარეობის პერიოდული შემოწმება.

2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

სუაც-ის მომხმარებელთა, ობიექტების მმართველობაში არსებული ყველა თანამშრომლის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებით უზრუნველყოფა.

- ინდივიდუალური დაცვის საშუალება უნდა შეესაბამებოდეს თითოული თანამშრომლის პოზიციას.
- თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისი ინსტრუქტაჟები/ტრენინგები ინდივიდუალური დაცვის საშუალების დანიშნულების, გამოყენების და შენახვის შესახებ.

3. ტრენინგები/ინსტრუქტაჟები

სუაც-ის მომხმარებელთა, ცენტრალური ოფისის თანამშრომლებისთვის:

- პერსონალის პერიოდული ინსტრუქტაჟი/ტრენინგი კომპანიის ზოგადი შრომის უსაფრთხოების საკითხებში;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი/ტრენინგი ინდივიდუალური დაცვის საშუალების გამოყენების შესახებ;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი/ტრენინგი პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრების გამოყენების შესახებ;

- პერსონალის ინსტრუქტაჟი/ტრენინგი საგანგებო სიტუაციის დროს მოქმედების წესების და ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი/ტრენინგი ქიმიური საშუალებების (დასუფთავება/დალაგების სარეცხი საშუალებები) სწორად მიზნობრივად მოხმარების და დანიშნულებისამებრ გამოყენების წესების შესახებ;

თავი IV. შრომის უსაფრთხოების კუთხით სუაც-ის მომსახურების ობიექტებზე არსებული მდგომარეობის ანალიზი.

შემუშავებულ იქნა სარეკომენდაციო წინადადებები, განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალის სახით.

1. ყველა მოქმედ ობიექტზე სარეაბილიტაციო-საპრევენციო სამუშაოებში გასათვალისწინებელია ხანძარსაწინააღმდეგო ფარის და აღჭურვილობის მოწესრიგება სადაც ამის აუცილებლობა დგას (ფილიალის მენეჯერებთან კონსულტაციით), აქვე უნდა ავღნიშნოთ მონიტორინგის დროს გამოვლენილ საჭიროებები: ცეცხლმაქრების ნაკლებობა.

2. ყველა მოქმედ ობიექტზე სარეაბილიტაციო-საპრევენციო სამუშაოებში გასათვალისწინებელია ელ.ენერგიის გაყვანილობის მოწესრიგება, სადაც კი ამის აუცილებლობა დგას. აქვე წარმოგიდგენთ მონიტორინგის დროს გამოვლენილ საჭიროებებს: ელ.ენერგია საჭიროებს რეაბილიტაციას. მიზანშეწონილია ყველა მოქმედი ობიექტის ელ.გაყვანილობის შესაბამისი სტანდარტით დამონტაჟება, ასევე ხარისხიანი ნათურებით მომარაგება (დიოდური ან სხვა შესაბამისი ტექნოლოგიის, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის ხარისხიან განათებას, შესაბამისი კანონით გათვალისწინებულ ზღვრებში).

3. ყველა მოქმედ ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოებში გასათვალისწინებელი საჭიროება არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სადაც ამის აუცილებლობა იქნება (მენეჯერებთან კონსულტაციით), აქვე წარმოგიდგენთ მონიტორინგის დროს გამოვლენილ საჭიროებებს: ოფისის და დაცვის შენობის დაზიანებული გადახურვის შეკეთება),

4. მონიტორინგის დროს დოკუმენტაციის კუთხით გამოვლენილი საჭიროება: (უსაფრთხოების ყოველდღიური ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი, შემთხვევების და ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი, ასევე სამეურნეო სამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების წინ, შესვლის და გასვლის დროს და თარიღის აღრიცხვის ჟურნალის წარმოება;

5. მონიტორინგის დროს აღჭურვილობის კუთხით გამოვლენილი საჭიროება: ხელსაწყოები და საოფისე ინვენტარი საჭიროებს დადგენილი წესით შემოწმებას: ასევე დალაგება/დასუფთავების სამუშაოებზე დასაქმებულ პერსონალს ესაჭიროება არსებულ სამუშაო ოთახებისაგან/სივრცისგან გამიჯნული გამოსაცვლელი კუთხე და ი.დ.ს. შესანახი კარადა;

ს.ტუსიაშვილი

სუაც-ის მიერ 2022-2023 წელს განხორციელებული მომზადება-გადამზადების პროგრამები

საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრი, შემდგომში სუაც-ი, პერმანენტულად ანხორციელებს და შეიმუშავებს, ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების უნარ-ჩვევების მომზადება-გადამზადების სწავლებებს და ტრენინგებს. აღნიშნულის

გათვალისწინებით, სუაც-ი ჩვენი ბიზნეს სუბიექტების მოთხოვნის გათვალისწინებით, არაერთი წელია რაც ანხორციელებს, როგორც ჯგუფურ, ისე ინდივიდუალურ სწავლებებს და ტრენინგებს სხვადასხვა სპეც.პროგრამებში. ეს წელიც შეიძლება ითქვას რომ, არაფრით არ იყო გამორჩეული და მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარე წელსაც განხორციელებულ იქნა მორიგი სწავლება პროგრამით SC5, „შრომის (მშენებლობის) უსაფრთხოების ტექნიკის ოფიცერი“, რომლის ფარგლებშიც მსმენელები დაეუფლნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შრომის უსაფრთხოება სამშენებლო მოედანზე; მძიმე სამშენებლო ტექნიკის ძირითადი სისტემები, ნაწილები და მახასიათებლები; მძიმე ტექნიკის მართვის უსაფრთხოება;

რისკების შეფასება და პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით და უსაფრთხოების ბარათის წარმოება.

აღნიშნული სწავლების გავლის შემდეგ მსენელებს გ.მარგიანს, ფ.იარაჯულს, დ.გელაშვილს, ჯ.ვერულეიშვილს და უ.გიორგანაშვილს გადაეცათ შესაბამისი ცოდნის დამდასტურებელი სერტიფიკატები.

გ.გრატიაშვილი

საქართველოს მოქალაქეთა მსოფლმხედველობის კვლევა წინა საარჩევნო განწყობაზე დაყრდნობით

კვლევის თემას წარმოადგენს, საქართველოს მოსახლეობის ამომრჩეველთა განწყობის ანალიზი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია გამოიკვეთოს საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხები და განვითარების მიმართულებები, შეფასდეს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სამოქალაქო განათლების დონე.

კვლევის ძირითად კითხვას წარმოადგენს, თუ რატომ აძლევენ ამა თუ იმ პიროვნებას ან პარტიას ხმას. სტატიის მასალად აღებულია სხვადასხვა წლებში, არჩევნების წინ, ჟურნალისტების მიერ გამოკითხული სხვადასხვა ასაკის (20-80 წლამდე) მოსახლეობის ნააზრევი.

კვლევაში მონაწილე საქართველოს მოსახლეობისათვის დასმული იყო კითხვა: რატომ აძლევენ ხმას ამა თუ იმ პარტიას ან კანდიდატს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, 1998 წელი.

კითხვა: ვის მიეცით ხმა და რატომ?

რესპონდენტი 1.1. ახლებს, იმიტომ რომ მომწონს ეს პარტია.

რესპონდენტი 1.2. აღორძინებას, იმიტომ რომ იმათმა თქვეს სხვები გპირდებიან და ჩვენ კი ვასრულებთო, ეხლა შევამოწმოთ, ესენი შეასრულებენ თუ დაგვპირდებიან.

რესპონდენტი 1.3. გაჩეჩილაძეს, იმიტომ რომ მიყვარს ეგ ბავშვი და ვენდობი.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები.

კითხვა: ვის აძლევთ ხმას?

რესპონდენტი 2.1. რომელს არ მივცემ ის ვიცი, მაგრამ რომელს მივცემ ის ჯერ არ ვიცი შვილო, არ მივცემ არც ყოფილს, არც ამჟამინდელს.

რესპონდენტი 2.2. არ ვიცი შვილო, საითაც ხალხი გაიქცევა, იქით გავიქცევი, ჯერ მე არჩეული არ მყავს.

რესპონდენტი 2.3. გლეხისთვის ვინც იქნება, არამგონია ყველა თავის სკამისთვის არის და არც არავინ არ იქნება.

რესპონდენტი 2.4. აი ფეხი მაქვს მოსაჭრელი და ვინც მიშველის იმას, მკურნალობა დამიფასეს 20000 ლარი და არა მაქვს საშუალება, დავდივარ ახალგაზრდა კაცი კოჭლობით, უნდა გააიაფონ, ვინც გააიაფებს იმის მხარდამჭერი ვიქნები მე.

რესპონდენტი 2.5. სასურველი რომ, ვინც ქვეყანას კარგად წარმართავს ის პარტია იყოს, მე ვერც ერთ პარტიას ვერ დავემდურები, არა მაქვს პოლიტიკაში ჩარევის უფლება და მოხარული ვიქნები, რომ ვინც გაიმარჯვებს ქვეყანა კარგად წარმართოს.

რესპონდენტი 2.6. სააკაშვილს არ დაუჭერ, ჩემი შვილი პატიმრობაში იყო და ბევრი უბედურებაა.

რესპონდენტი 2.7. არ ვაპირებ, როცა დავაპირე ხო რა მივიღე და აღარა მჯერავს, არაფერი არც ხალხისთვის კეთდება და არც არაფერი არავისთვის.

რესპონდენტი 2.8. არავის, ჩემთვის არავინ არ იქნება.

რესპონდენტი 2.9. რათქმაუნდა მოქმედს, იმიტომ რომ ჯერ ერთი მუშაობაც მომწონს ამათი და მეორეც ერთი, მე ვარ სახელმწიფო მუშაკი და ამიტომ მე ვალდებული ვარ რომელი პარტიაც მემსახურება, მე იმ პარტიას მივცე ხმა.

რესპონდენტი 3.0. ნაციონალებთან ვარ მე ახლოს, რატომ? არ ვიცი როგორ, რავიცი მე იმათი გაკეთებული საქმე, იმათი ტელევიზორში ნათქვამი რაღაც სასიკეთოა და ხელმისაწვდომია ჩვენთვის ალბათ.

რესპონდენტი 3.1. ნაციონალებს, იმიტომ რომ ისინი აკეთებდნენ მაინცაა რაღაცას, სოფელში დასალევი წყალი მაინცა გვქონდა, ეხლა წყალიც არარი.

რესპონდენტი 3.2. ქართული ოცნების წევრი ვარ მე, კომისიის წევრი, სხვებთან შედარებით მათი პოლიტიკა უფრო მომწონს.

კითხვა: ვის უცხადებთ ნდობას და რატომ?

რესპონდენტი 3.3. არ მივდივარ არჩევნებზე, იმიტომ რომ არც ერთი ხელისუფლების დროს არაფერი ხალხისთვის არ შეცვლილა.

რესპონდენტი 3.4. ყველაფერი უფრო უარესდება, არ მივიღებ მონაწილეობას.

რესპონდენტი 3.5. არ ვღებულობ მონაწილეობას, იმიტომ რომ ყველა თავისთვის მუშაობს და ხალხისთვის არავინ არ მუშაობს.

რესპონდენტი 3.6. მივიღებ მონაწილეობას, მაგრამ ყველას გადავხაზავ, იმიტომ რომ, 26 წელია ლაპარაკის გარდა არაფერს არ ვაკეთებთ.

კითხვა: რის მიხედვით აკეთებთ არჩევანს?

რესპონდენტი 3.7. ვინც ხალხს მოუტანს სიკეთეს და ხალხის პირობებს გააუმჯობესებს.

არჩევნების შემდგომ დასმული კითხვა: რატომ მიეცით თქვენს კანდიდატს ხმა?

რესპონდენტი 3.8. იმიტომ, რომ ჩვენი კუთხის წარმომადგენელია და კარგი ოჯახის შვილია.

რესპონდენტი 3.9. ხმა მივეცი თარხან მოურავის პარტიას, რადგან იგი ერთადერთი ეროვნული პარტიაა, საქართველოში.

რესპონდენტი 4.0. ხმას ვაძლევ ნაციონალურ პარტიას, იმიტომ, რომ მათ დროს ისე არ ვიყავით გაჭირვებულები.

რესპონდენტი 4.1. რატომ ენდობით დემოკრატებს? - რავიცი ალასანიასი უფრო მწამს, ასეთი შეხედულება მაქვს ამ კაცზე.

რესპონდენტი 4.1. ბურჭულაძეს - პერსპექტიული კაცია და ჭკვიანი კაცია და გონიერი კაცია სხვათაშორის, ასეთი წარმოდგენა მაქვს მე და ასე მჯერა.

2018 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები.

კითხვა: რომელ კანდიდადტს უჭერთ მხარს და რატომ?

რესპონდენტი 5.1. ნათელაშვილის ისა ვარ, მე უფრო მომხრე, იმიტომ რომ რეალური, კარგი საღი აზროვნებით ლაპარაკობს.

რესპონდენტი 5.2. სალომეს, იმიტომ რომ ჯერ ერთი ქალია და ისეთი ბოღმა და სიბოროტე არ ექნება, უბრალოდ ქალი როა მარტო მაგიტომ, ამ გაბოროტებულ ქვეყანაში, ასე მგონია, რომ ცოტა შერბილდება.

რესპონდენტი 5.3. ბაქრაძეს, იმიტომ რომ პენსიებსაც ამატებს და ბაქრაძეც კარგია შვილო.

რესპონდენტი 5.4. კახა კუკავას, იმიტომ რომ გასვრილი არაა დანარჩენებივით.

რესპონდენტი 5.5. ბატონ გრიგოლს, იმიტომ რომ ძალიან ჭკვიანია.

რესპონდენტი 5.6. არაფრის იმედი არა მაქვს, ყველა თავის ჯიბისთვის ირძვის.

რესპონდენტი 5.7. არჩევნებზე წავალ და იმას მივცემ ხმას, ქვეყანას რომელიც და ვინც გამოადგება, იმის მიხედვით, რომ ქვეყანა, ქვეყანა იყოს ნამდვილად, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი პრობლემები დაგროვდა.

რესპონდენტი 5.8. რის მიხედვით აკეთებთ არჩევანს? - დაპირებებით, ხალხისთვის რასაც კარგს დაგვპირდებიან იმის მიხედვით.

მაკორექტირებელი კითხვა: როგორი პიროვნება გსურთ პრეზიდენტად?

რესპონდენტი 5.9. ალბათ პატრიოტი და საღი აზრის მქონე ადამიანი უნდა იყოს პრეზიდენტი, ხალხთან კომუნიკაცია უნდა შეეძლოს და წინდახედული უნდა იყოს და რასაც აკეთებს და რა რეფორმებსაც შემოიტანს, უნდა იცოდეს რა მოყვება იმას. ჯერჯერობით ეგეთ კანდიდადტს მე ვერ ვხედავ. შესაბამისად არც ვაპირებ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, ყველას საკუთარი ინტერესები აქვს ჩემი აზრით.

რესპონდენტი 6.0. ვინც პენსიას მოგვიმატებს, პენსიონერს უკეთეს პირობას შეუქმნის, იმას დაუჭერთ ხმას. ასეთი, რავიცი ბაქრაძე გვპირდება ყველაფერს და ბაქრაძეზე მეტად არავინ არა გვიპრდება მემგონი.

რესპონდენტი 6.1. ქალბატონ სალომე ზურაბაშვილს, იმიტომ, რომ ჩემი არჩეული ეგ არის და.

რესპონდენტი 6.2. მხოლოდ და მხოლოდ ვაშაძე თუ გადაარჩენს საქართველოს, დანარჩენი აბსოლუტურად არავის იმედი არა მაქვს. ვაშაძე იმიტომ, რომ ეგ არის ძალიან ძლიერი პოლიტიკოსი და ძალიან ძლიერი პიროვნებაა.

რესპონდენტი 6.3. სალომე ზურაბიშვილის გარდა ნებისმიერს მივცემ ხმას.

რესპონდენტი 6.4. გრიგოლ ვაშაძეს, აი ხო გითხარით პენსიების მატებასაც ჰპირდება ხალხს, კარგი პოლიტიკოსიც არის, რავიცი გამოცდილია.

რესპონდენტი 6.5. არჩევნებზე მივალ და ყველას გადავუსვავ ხაზს.

რესპონდენტი 6.6. პროგრამას გადავხედავ, ვისაც კარგი პროგრამა ექნება იმას დაუჭერ მხარს.

რესპონდენტი 6.7. ვინც პენსიებს გაზრდის იმას მივცემ ხმას.

რესპონდენტი 6.8. სალომე ზურაბიშვილს, რავიცი აბა ოცნების ის არის.

რესპონდენტი 6.9. ვაშაძე უნდა ავირჩიო 5 ნომერი, იმიტომ რომ პენსიას შეგვპირდა.

რესპონდენტი 7.1. არავისი არა მჯერა შვილო, იმიტომ რომ ხალხისთვის არავინაა.

რესპონდენტი 7.2. უსუფაშვილი დავითი, იმიტომ რომ ძალიან კარგი ადამიანია და იმან ყველაფერი კარგად იცის.

ამ ყოველივეს ფონზე, ვიცით რა რომ არსებობს, როგორც ინდივიდის, ასევე საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანი სოციუმის ფსიქოლოგია, რომელსაც სოციალურ ფსიქოლოგიას ვუწოდებთ ვასკვნით რომ: ჩვენ გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა კომფორმულია (შემგუებელი, გაბატონებული შეხედულებების მხარდამჭერი). სოციალური ფსიქოლოგები გამოყოფენ კომფორმულობის ორ ტიპს:

1) ინტერიორიზაცია, როცა ხდება ჯგუფის აზრის მიღება და გაშინაგნება;

2) დამორჩილება, როცა ადამიანი გარეგნულად ეთანხმება, მაგრამ შინაგანად – არა.

სოციალური ფსიქოლოგიის და მასების ფსიქოლოგიის უამრავი მკვლევარი და სპეციალისტი არსებობს, თუმცა ჩვენი საზოგადოების მსოფლმხედველობის შეფასებაში ვფიქრობთ, გამოჩენილი გერმანელი ფსიქიატრი და ფსიქოთერაპევტი, გეშტალტთერაპიის დამფუძნებელი ფრიც პერლზის თეორიები დაგვეხმარება, რომელიც მკაფიოდ დაგვანახებს რეალურ სურათს.

თეორია, რომელსაც კობტაქტის ეტაპები ეწოდება რამოდენიმე პუნქტადაა დაყოფილი. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. ეს არის კლიშეს ეტაპი-ვაკეთებ იმას რასაც მეუბნებიან არ მაქვს უნარი განვსაზღვრო რატომ. საზოგადოება, რომელიც კლიშეს ეტაპზეა „გაჭედილი“, ყალიბდება ნევროტიკად, რასაც ხშირად ვხვდებით ჩვენს სოციმუში.

2. ეს ხელოვნური დონეა - ხელოვნურად უქმნის თითოეული ინდივიდი რაიმე შეხედულებას, რადგან კონკრეტულ ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდა ჰქონდეს. მარტივად რომ ავხსნათ მათი დევიზია ვიყო სხვებისათვის მისაღები.

3. მესამე ეს ემოციური კრიზისია, როდესაც განხვავებული აზრი გაგაჩნია, თუმცა საკუთარ თავთან კონფლიქტში ხარ. ამის ნათელი მაგალითია ჯემალ ქარჩხაძის ნაწარმოები „იგი“, სადაც მთავარი გმირი წელში გაიმართება და სხვებისგან განსხვავებული ხდება და ტკივილების ფასად უჯდება, რომ ისევ ვითომდა სოციუმის ნაწილი იყოს, გარემოდან გამომდინარე. მეტაფორულად, თუ პირდაპირი მნიშვნელობით იგი უფსკრულის პირას დგება. სწორედაც, რომ ემოციური კრიზისი ის უფსკრულია, რასაც ფსიქოლოგიაში ჩიხის ეტაპს უწოდებს პერლზი. ჩვენ საზოგადოებაშიც ვხხვდებით მსგავს ემოციურ კრიზისამდე მისულ ადამიანებს, რომლებსაც მასისგან განსხვავებული აზრი აქვთ, თუმცა მათი რაოდენობა არც ისე ბევრია.

4. მეთხე ეს გადაწყვეტილების მიღების ეტაპია რომელსაც ემოციური აფეთქებას ვეძახით. ეს ის აფეთქებაა, როდესაც საზოგადოება „ერთ მუშტად იკვრება“, როცა უფსკრულის პირას მდგომი უკან მობრუნდება და ბრძოლას დაიწყებს.

შემდეგი განმარტებებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ რესპოდენტების უმრავლესობა პირველ და მეორე ეტაპზეა შეჩერებული (კლიშე და ხელოვნური დონე).

სოციალური ფსიქოლოგიის დასკვნის ფონზე, ლოგიკურად შეგვიძლია ასევე დავსკვნათ, რომ რესპონდენტების პასუხებიდან გამომდინარე, შეინიშნება მხოლოდ უიმედობა და უნდობლობა ხელისუფალთა მესვეურების მიმართ და ერთადერთ იმედად რჩება ისევ ძიება ისეთი პიროვნების, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამავე დროს იქნება ე.წ. „ჭკვიანი“, ყველაფრის მცოდნე და დანაპირების შემსრულებელი, ანუ როგორც საზოგადოებაში იტყვიან ე.წ. „სიტყვის კაცი“. სამწუხაროა თუმცა ცხადია, რომ ჩვენი მოსახლეობა ჯერ კიდე ვერ განთავისუფლდა წარსულის, სოციალური წყობის მოდელის აზროვნებიდან (კლიშეებიდან), რომელიც თითეული მოქალაქის სწავლაზე, სამედიცინო მომსახურებაზე და დასაქმებაზე „ზრუნავდა“, ზრუნავდა როგორც „მშობელი“, თუნდაც უღმერთო და იცავდა მეტნაკლებად თანასწორობის პრინციპს საზოგადოებაში. ხოლო დღეისათვის მოქმედებებში თავისუფალი, ე.წ. დემოკრატიული წყობის პრინციპები, სადაც პიროვნება არაა შეზღუდული საზღვრებით და საქმიანობის სფეროთი, ჯერ კიდე ვერ გაუაზრებია „საძოვარზე თავისუფლად მიშვებულ“ საქართველოს მოსახლეობას.

ასევე ცალსახად ცხადია, რომ მოსახლეობის უმრავლესობას არ გააჩნია საკმარისი ცოდნა სახელმწიფოს მართვის საკითხებში, ვერ აფასებს გლობალურ საფრთხეებს და მათი ზემოქმედების წილს ჩვენს სახელმწიფოებრიობაზე. ცხადია პირი, რომლის ყოველდღიურობაც დაკავშირებულია სარჩო-საბადებლის გამომუშავებაზე, ვერ შეძლებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ხედვას, რომელიც მის დუხჭირ ყოფიერებას განაპირობებს.

გ.გრატიაშვილი; ა.ქომეთიანი

სიტყვის ფენომენის საფუძვლები

წმინდა წერილი გვამცნობს, რომ პირველად იყო „სიტყვა“! სიტყვა - რომლის განხილვაც ორგვარად შეიძლება. პირველ რიგში იგი, რიგითი ადამიანებისათვის ინფორმაციის სახეს წარმოადგენს. სწავლულებისთვის კი - ენერგიის. არსებობს “სიტყვის“ სხვაგვარი, მესამე სახე, რომელიც ადამიანის აღქმას აღემატება და მის შემომქმედის არსიდან გამომდინარეობს. პირველად იყო “სიტყვა“ და ეს “სიტყვა“ ჩვენი შემომქმედის, ღვთის “სიტყვას“ წარმოადგენს, რომელმაც ამქვეყნიურ სიცოცხლეს დაუდო დასაბამი და ყველაფერი მოძრაობაში მოიყვანა.

ჩვენი მსჯელობის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ “სიტყვა“, მისი აზრითა და დანიშნულებით - სიცოცხლის მსახური და დასაბამია. აქედან გამომდინარე ყოველი “სიტყვა“ მისი ინფორმაციულობისა და ენერგიულობის გამოხატულებით, სიცოცხლეს უნდა გამოსახავდეს, ქმნიდეს და მსახურებდეს, ვითარცა შემომქმედი ჩვენი, რომელმაც ჩვენი შექმნა “სიტყვით“ დაიწყო და სიტყვითვე დაუდო დასაბამი სიცოცხლეს. სიცოცხლეს ამა ქვეყნისა.

“პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი“, ღმერთი, ჩვენი შემომქმედი ხატად თვისად. აქედან გამომდინარე ყოველი სიტყვა კაცთა ბაგიდან წარმოთქმული, ღვთის მსგავსად სიცოცხლეს უნდა მსახურებდეს, ქმნიდეს და მოძრაობაში მოჰყავდეს იგი.

სიტყვის მესამე სახით ინტერპრეტირებისას, სიტყვისვე ძალით ქმნილი სამყარო, სრულ, აღქმად სახეს იძენს, ნაყოფს შემოქმედებისას, რომლის არა მარტო ხილვა, არამედ შეგრძნებაც შესაძლებელი ხდება. მგრძნობელობა კი სიცოცხლის თვისებაა.

იმისათვის, რომ სამყაროს აღქმა შევძლოთ, საჭიროა მისი შემომქმედის თვალით შევეცადოთ შეხედვას მასში არსებული სიცოცხლის დასანახად. სიცოცხლე რომელიც თავად “სიტყვაა“ და “სიტყვა“, რომელიც თავად ღმერთია.

სიტყვა ანუ სიცოცხლე, ნებისმიერი ქმნილების შინაარსიცაა და არსიც. ქმნილება კი, ამ ჩვენთვის ხილულ სამყაროში - მატერიაა, მატერია, რომელიც სიცოცხლემ - “სიტყვამ“ შექმნა. “მსგავსი მსგავს შობს“. ესეიგი ნებისმიერი მატერია რაც “სიტყვისაგან“ იშვა - ცოცხალია და თუკი ცოცხალია ე.ი. მოძრავიცაა. ახლა უკვე ნათელი ხდება პარაგრაფის თავში მოყვანილი, “სიტყვის“ - აღქმისა და გაგების სახეები: “სიტყვა“, როგორც *ინფორმაციის სახე* და “სიტყვა“, როგორც - *ენერგია*. ერთიც და მეორეც, რეალურად მისი შემადგენელი ნაწილებია, რომელთა ერთობითაც - “სიტყვის“ სრული სახე იკვეთება. სიტყვის **ინფორმაციული ენერგია**, **ენერგოტევადი ინფორმაცია** (სიტყვა), ე.წ. არსი სიცოცხლისა, ერთ სიტყვაში გამოხატული სიცოცხლეა.

“სიტყვის“ ქმნილება მატერიაა (ხილული სამყარო), რომელსაც ფორმა გააჩნია და ეს ფორმა არც მეტი, არც ნაკლები - წრიულია. ამას მოწმობს ჩვენ თავზე არსებული კოსმოსის უკიდეგანო სივრცე და მასში მოძრავი ციური სხეულები და არა მარტო ისინი. *წმინდა წიგნიდან იერემიასა და იესაიას პირით ვიგებთ: “ჩვენ ვართ თიხა, ხოლო ის არის მეთუნე“*. თიხის ხელში აზელვით, თიხის გუნდას ვღებულობთ, წრიულ, სფეროს ფორმას,

რომლისგანაც სხვადასხვა სახისა და შესაბამისი დანშნულების, გეომეტრიული ფორმის ნაკეთობებს ვქმნით.

ყოველივე ზემოთქმულიდან, "სიტყვის" დასაბამი და მისი ქმედება შემოქმედებაში ვლინდება. ეს უკანასკნელი კი შემდეგი თანმიმდევრობით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: "სიტყვამ" და მისმა მყისიერმა ქმედებამ (ჩვენთვის მყისიერმა), შექმნა მატერია და მიანიჭა მას მოძრაობა - შეიქმნა პროდუქტი შემოქმედებისა, შემოქმედება სიცოცხლისა - "მსგავსი, მსგავს შობს".

პირველად იყო "სიტყვა" - ინფორმაცია სიცოცხლის შესახებ.

"სიტყვის" მოქმედების პროდუქტი - მატერიაა, მატერიის შექმნის მიზანი - სიცოცხლის, "სიტყვის" დაცვა და გავრცელება. სიცოცხლის ქმედება - სიცოცხლისათვის. რის შედეგადაც ვღებულობთ სამ უპირობო კომპონენტს, ნაწილს, "სიტყვის" შემოქმედებისა:

1) მატერია; 2) მატერიის ფორმა; 3) მატერიის (ფორმის) შინაარსი.

"სიტყვის" მოქმედების მაგალითად დედამიწა შეგვიძლია მოვიყვანოთ. "სიტყვამ" (სიცოცხლემ) შექმნა დედამიწა: - ცა, ხმელეთი, ფლორა, ფაუნა და ადამიანი. ყოველი მათგანი სიცოცხლის უნიკალური მატერიალური ფორმებია. ეს პროცესი შემდეგი თანმიმდევრობით (დედა-შვილური პრინციპით) შეგვიძლია დავაჯგუფოთ:

1) ყველაზე მასიური სიცოცხლის ფორმა, ციური სხეული არის დედამიწა, რომელსაც მოძრაობის, მიზიდულობის და სიცოცხლის ფორმების შექმნის და გამრავლების უნარი გააჩნია. მისი ქმნილება დასაბამიდან დღემდე - ცა, ხმელეთი, ფლორა, ფაუნა და ადამიანია. ამიტომაც ეწოდა მას ოდითგანვე დედამიწა.
2) ფაუნა - სიცოცხლის ფორმა, რომელსაც მოძრაობის, მიზიდულობის და მხოლოდ მსგავსი სიცოცხლის შექმნა და გამრავლება ძალუძს.

   ფლორა - სიცოცხლის ფორმა, რომელსაც მსგავსი სიცოცხლის შექმნა და გამრავლება ძალუძს.

   ადამიანი - უმაღლესი "სიტყვის" შემომქმედი და უკანასკნელი სიცოცხლის ფორმა, შექმნილი უმაღლესისათვის. მას, მოძრაობის, მიზიდულობის და უმაღლესი მსგავსი სიცოცხლის შექმნა და გამრავლება ძალუძს.

   გრაფიკულად წარმოდგენისათვის შემდეგ სახეს მივიღებთ (სურ.1).

მეორე ჯგუფის სიცოცხლის ფორმებიდან, თუკი ადამიანს ცალკე ფორმად გამოვყოფთ, როგორც უნიკალურ, უმაღლესი სიცოცხლის ფორმას, რომელიც თავად ხატია "სიტყვისა", სიცოცხლის უწყვეტ ციკლს მივიღებთ. რომლისაგანაც ყველაფერი დაიწყო, დასრულდა და ისევ გრძელდება (სურ. 2).

ჩვენი მსჯელობიდან კიდევ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ **"სიტყვა"** მისი არსით **მარადიული სიცოცხლის სახეა** და თავის მხრივ **დასაბამია დასასრულისა**, ჩვენთვის ხილული მატერიალური სამყაროს არსებობის პრინციპი. უსასრულობა სასრულისა, რომლის მიზანი, აზრი და შინაარსიც მხოლოდ სიცოცხლეა, მარადიული სიცოცხლის მოპოვება და მკვიდრობა მასში. ჩვენთვის ხილული მატერიალური სიცოცხლის ციკლის

უწყვეტობა, მარადიული სიცოცხლის ანალოგიაა, ენერგიის მუდმივობის თვისებიდან გამომდინარე.



სურ. 1



სურ. 2

ჩვენი განხილული დედამიწის მაგალითიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ "სიტყვის" შემოქმედების სამივე ნაწილი განსაზღვრულია, რაც მის სრულ სახეს წარმოაჩენს.

1) **დედამიწა - მატერიაა; 2) ფორმა - წრიულია; 3) წრიული ფორმის შინაარსი კი სიცოცხლის ციკლის უწყვეტობა, მარადიულობის სახეა (სიმბოლო).**

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მატერიალური, მასიური სიცოცხლის ფორმებიდან, დედამიწა, მისი ფორმისა და შინაარსიდან გამომდინარე, აკვანია და უშრეტი წყარო სიცოცხლისა, სხვა ყველა მასზე მცირე ზომის და მასზევე გაჩენილი ფორმისა. უფრო მოკლედ კი მისი შექმნის არსი და მიზანი, მატერიალურ სამყაროში სიცოცხლის ფორმების მუდმივად გენერირებაა.

მატერიალურ სამყაროს სიცოცხლის ფორმებიდან, როგორც ყველაზე უნიკალურის, უმაღლესი სიცოცხლის ფორმის - ადამიანის განხილვისას სულ სხვა სურათი გვესახება. მსგავსად დედამიწისა იგიც გვევლინება დედად, დედად "სიტყვისა" ერთისა, ანუ საწყისისა, რომელიც შემდგომ მრავალსა ქმნის (მატერიალური სიცოცხლის ფორმებს), მრავალი კვლავ ერთსა, ერთი მრავალსა და ა.შ. "სიტყვის" მოქმედებამ კვლავ წრეზე გაგვიყვანა და მარადიულობას დაგგვაქვემდებარა. გრაფიკულად ისევ წინა სურათის ანალოგს მივიღებთ, რომელიც სიცოცხლის ციკლის უწყვეტობას იძლევა (სურ. 3).



სურ. 3

თუ ჩვენ მიერ მიღებულ სიცოცხლის ციკლოგრამას განვავრცობთ და ერთი ციკლით არ შემოვიფარგლებით, ანუ რამოდენიმეჯერ გავიმეორებთ, მივიღებთ სინუსოიდურ რხევით სისტემას (სურ.4):



სურ. 4

მიღებული გამოსახულება საკმაოდ ნაცნობ სახეს იძენს. პირველ რიგში მათემატიკური სიმბოლოს, უსასრულობის ნიშნის ფორმას ∞ გამოსახავს და გვახსენებს სიტყვებს ცნობილი ფილმიდან "შერეკილები" – "სიყვარული ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადი". თუმცა მეორე მხრივ დღეისათვის აწ უკვე კარგად ნაცნობ ადამიანის **დნმ**-ს მოგვაგონებს (სურ. 5).

ახლა დავუბრუნდეთ "სიტყვის" შემოქმედების შემადგენელ სამ ნაწილს და განვსაზღვროთ ადამიანის მიხედვით მისი სრული სახე.

1) **ადამიანის სხეული - მატერია; 2) ფორმა - ჯვარი; 3) ჯვრის ფორმის შინაარსი - სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებაა, აღზევება, აღდგომა, გზაჯვარედინი სიკვდილ-სიცოცხლის.**



სურ. 5

როგორც ჩვენთვის ცნობილია "სიტყვაც" პირველად სრულ "უკუნეთში" არაფრისაგან უეცრად წარმოიშვა და იწყო გამრავლება, რამაც შექმნა მოძრაობა, მოძრაობა მარადიულობისაკენ. უმაღლესმა გონმა (ღმერთმა) შექმნა სამყარო და მიანიჭა მას მოძრაობა, შთაბერა სული, მის ხატად შექმნილ ადამიანს და მიანიჭა თავისუფალი ნება და გაუშვა ინერციით, მსგავსად გაგორებული ბურთისა.

ადამიანის სრული სახის წარმოჩენისას, მისი ჯვრის ფორმის და შინაარსის განსაზღვრისას, თუკი ზემოთ მოცემულ გამოსახულებას დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ საწყისის მართლაც ანალოგიურია და მართლაც რომ გზაჯვარედინს ქმნის, სადაც სიცოცხლე იკვეცება და იღებს დასაბამს ისევ გამრავლებისა (უსასრულობა სასრულისა), ანუ ნიჭს და უნარს შემომქმედისა (ღვთისა), რაც ისევ იმის დასტურია, რომ ადამიანი მართლაც და ღვთის ხატად იქნა შექმნილი.

აქვე, კიდევ ერთხელ უნდა გავამახვილოთ ყურადღება ადამიანის ფორმაზე (სურ.6), როგორც ჯვრის, კერძოდ კი მის თავზე, რომელიც მის გონს, აზრს, ნიჭს და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

სურ. 6

იგი ზრდას ასე ვთქვათ ვერტიკალური მიმართულებით ანხორციელებს, ანუ ფეხებიდან თავის მიმართულებით, სხვაგვარად რომ ვთქვათ მიწიდან ზეცისკენ მიისწრაფვის. ეს პროცესიც ერთგვარი მოქმედებაა, რომელიც სიცოცხლის ქმედებითაა გამოწვეული და მის ერთ-ერთ უპირობო პრინციპს წარმოადგენს.

ე.ი. ადამიანი, როგორც დასაბამის დასასრული, სიცოცხლის მატერიალური ფორმების უკანასკნელი ქმნილება, საწყისია დასაბამისა (უსასრულობა სასრულისა და სასრული უსასრულობისა). თუკი მის ფორმას 90^0-ით შემოვაბრუნებთ მარჯვნივ და ჩვენ მიერ ზემოთ მიღებულ გამოსახულებასთან შევათანწყობთ, საინტერესო სურათს მივიღებთ (სურ. 7), სადაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით ადამიანის ხვთის ხატობაში.



სურ. 7

მაშასადამე, ზემოთქმულიდან გამომდინარე "სიტყვამ" ადამიანი მართლაც, რომ საკუთარი "სიტყვის" ხატად შექმნა და მისი სრული სახე, მის ფორმასა და შინაარსში ზედმიწევნით გადმოსცა.

ცალსახაა და უდაო ფაქტი, რომ ადამიანი თავად არს დასაბამი სიცოცხლისა, არსი მისი სიცოცხლეა, დაცვა და გამრავლება მისი, მარადიული არსისა.

ჩვენი მსჯელობებიდან გამომდინარე, დასაბამი "სიტყვისა", თვით სიცოცხლეა, სიცოცხლე განსახიერებული და შთაბერილი მატერიაში, რომლის არსში ჩასაწვდომადაც მის სამ ძირითად შემადგენელ ნაწილს უნდა გაეცეს პასუხი, ესენია:

1) საგანი, რომელზეც ვსაუბრობთ რა სახისაა - ხილული ცოცხალი მატერიაა, თუ უხილავი?

2) რა ფორმისაა განსახილველი მატერია?

3) რა შინაარსის მატარებელია იგი, მისი ფორმებიდან გამომდინარე?

მაშასადამე "*პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი*", დასაბამი დაუსაბამოისა და "*შექმნა ღმერთმა მიწა და ცა და ცასა ზედა ვარსკვლავები და ყოველი სულდგმული მიწასა ზედა ...*" ანუ მატერიალური სამყარო სიცოცხლის ნიჭით, სიცოცხლე მატერიალური სახით, რომლის სიცოცხლის სიდიადეში ჩასაწვდომადაც სამი უპირობო სიცოცხლის კომპონენტები გამოიკვეთა (კომპონენტები, რომელიც ყოველ შემომქმედს ახასიათებს):

1) მატერიის სახე. 2) მატერიის ფორმა. 3) მატერიის ფორმის შინაარსი.

ჩვენი მსჯელობის საფუძველზე მივედით იქამდე, რომ შეგვიძლია დავასკვნათ სიცოცხლის თვისება, რომელიც წარმოდგენილია სურათზე 8 და მდგომარეობს იმაში, რომ ერთი ქმნის მრავალს, მრავლისა ერთი (რჩეული) კი, ისევ მრავალს და ა.შ. რაც საერთო ჯამში ხარისხობრივად გამორჩეული სიცოცხლის შექმნის ციკლურობას გამოხატავს და ამავე დროს ემსახურება მის მარადიულ ყოფიერებას, არსს.



სურ. 8

გ.გრატიაშვილი

სიტყვის არსის ზეგავლენა სიცოცხლის თვისებაზე

სიცოცხლე უწყვეტი ციკლია, არავის ძალუძს მისი შეწყვეტა, იგი წრფივად ვითარდება და უსასრულობაში გადადის. ვერავინ შეწყვეტს აწ უკვე შობილს, იგი მუდმივად იმოძრავებს თავის ვექტორზე უსასრულობისაკენ ანუ მარადიულობისაკენ, სიცოცხლისაკენ. მხოლოდ მიმართულების შეცვლა შეიძლება გარკვეული დროით, ისიც გარკვეულ პერიოდში, ვინაიდან ყოველთვის ეცდება დაუბრუნდეს საწყის ვექტორს, სწრაფვის მიზანს მარადიულობისაკენ (უკვდავებისაკენ).

პერიოდები, რომელიც განსაზღვრავს უსასრულობისაკენ სწრაფვის ვექტორთა მიმართულებას, წესს, წესრიგს მოძრაობისას, ისეთივე წესსა და წესრიგს, როგორიც თვით კოსმოსია, ურიცხვი სისტემებით, რომელნიც მზის სისტემის მსგავსად მკაცრად განსაზღვრული მიმართულებითა და ციკლით მოძრაობენ. გამომდინარე ხსენებულიდან კოსმიური ციკლის, წესრიგის რღვევა, სიცოცხლის გარკვეული პერიოდით განადგურების ტოლფასია. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, შეჩერებაა უმნიშვნელო დროით რაღაც პერიოდში, მაგრამ მისი შეჩერება შეუძლებელია. უფრო მეტიც, ერთი სიცოცხლისაკენ მსწრაფველი ვექტორისათვის მიმართულების შეცვლა ან რაღაც მომენტში მისი შეყოვნება, იწვევს იმ მომენტსა და პერიოდში, ერთი ვექტორის ნაცვლად ათი, ასი, ათასი და მეტი უსასრულობისაკენ მოძრავი ვექტორის წარმოქმნას. მახსენდება გამონათქვამი: „რაც არა

გვკლავს, გვაძლიერებს“. ეს დაახლოებით საწვავით სავსე ავზს მოგვაგონებს, რომლის გაფართოებითაც ავზი სკდება და მასში არსებული საწვავი განუსაზღვრელი მიმართულებით მთელ სივრცეში იფანტება. ან თუნდაც შეგვიძლია შევადაროთ ჭურჭელში მოთავსებულ მუდმივად წნეხად აირს, რომელიც ცდილობს მის შეკავებას, მაგრამ აირის რაოდენობის ზრდა და შეყურსვა, იწვევს მისი შემაკავებლის ანუ ჭურჭლის ნგრევას, სადაც ანალოგიურად წინა შემთხვევისა, ხდება შეყურსული აირის, ენერგიის სივრცეში გაფანტვა. ეს ყოველივე სიცოცხლის წესრიგის, მისი არსებობის კანონზომიერებაა, რომლის არამცთუ განადგურება, შეჩერებაც კი შეუძლებელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლებელია მიმართულების შეცვლა (სურ.9), მაგრამ მხოლოდ გარკვეული დროითა და პერიოდში. შეუძლებელია მისი დამწყვდევა, ჩაკეტვა და ყოველგვარი შეზღუდვა, ვინაიდან იგი მუდმივად მზარდი ენერგიაა (სამყარო რომელიც მუდმივად ფართოვდება), ვექტორი მსწრაფველი უსასრულობისაკენ, მარადიულობისაკენ. მისი შეჩერებით ჩვენ მას კი არ ვანადგურებთ, არამედ პირიქით, ვამრავლებთ და ყოველივე ეს გარდაუვალი პროცესია. არ არსებობს სამყაროში ძალა, რომელიც მის შეჩერებას შესძლებს.



სურ. 9

სადაც: O - სიცოცხლის საწყისი, ანუ მარადიულობის მუდმივმოქმედი ენერგია;

F - ენერგია, ძალა, რომელიც უსასრულობისაკენ მიიღწვის მუდმივად;

F‘ – ენერგია, ძალა, რომელმაც გარკვეული დროითა და პერიოდით განიცადა მიმართულების შეცვლა;

G – მარადიულობის ვექტორზე დასაბრუნებელი მიზიდულობის, სიყვარულის ძალა (მუდმივობის თვისება);

t – მარადიულობის დრო, პერიოდი (მაგ. წელი, თვე, დღე);

t ‘ – მარადიულობის ვექტორს აცდენილი დრო, პერიოდი;

∞ - უსასრულობა, მარადიულობა (ციკლურობა).

მარადიულობისაკენ სწრაფვის განსაზღვრა გარკვეული პერიოდისათვის: სადაც g = 9,8 მ/წმ^2

$G = (F_{tn} - F'_{t'n})g$ - სიყვარულის მიზიდულობის ძალა.

$F = F_{tn} - F'_{t'n}$ - მარადიულობისაკენ განვლილი პერიოდი (წლები).

$\infty = F * G$ - მარადიულობისაკენ სიყვარულის ძალით განვლილი პერიოდი.

გ.გრატიაშვილი

უპილოტო საავიაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობები საქართველოს მახლობელ რეგიონში

თანამედროვე ეპოქაში უპილოტო საავიაციო სისტემები თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების შეიარაღების მნიშვნელოვანი კომპონენტია. უპილოტო საფრენი აპარატები ძირითადად გამოიყენება სადაზვერვო ამოცანების შესასრულებლად, რომლებმაც ეს ფუნქცია მთლიანად ჩამოართვეს პილოტირებად ავიაციას. დროთა განმავლობაში ვითარდება და ფეხს იკიდებს მეორე ფუნქცია, ეს არის საბრძოლო ამოცანები. უპილოტო საავიაციო სისტემების განვითარებაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ რეგიონალური კონფლიქტები. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩვენს მეზობლად მომხდარი მთიანი ყარაბახის ომი. ყარაბაღის ომში სამხედრო თეატრის წარმოების კუთხით, ფაქტიურად განხორციელდა რევოლუცია, რამაც უნდა განაპირობოს საჯარისო შენაერთების ტაქტიკის, ოპერატიული ხელოვნების და სტრატეგიის ცვლილება. ცხადია საუბარია აზერბაიჯანის მიერ უპილოტო საფრენი აპარატების მასიურად გამოყენებაზე. საინტერესოა, რომ კონფლიქტის ორივე მხარემ თითქმის არ გამოიყენა პილოტირებადი ავიაცია - გამანადგურებელი, ბომბდამშენი და საარმიო ავიაცია, რაც სავარაუდოთ მათი პოლიტიკურად განპირობებული მარცხის შიშით იყო გამოწვეული. პილოტირებადი ავიაციის უპილოტო საფრენი აპარატებით ჩანაცვლება, არ არის მხოლოდ ერთი ტიპის ტექნიკის მეორეთი ჩანაცვლების მცდელობა, არამედ სამხედრო ხელოვნებაში გარდატეხის მომენტი. განვიხილოთ უფრო დიდი რეგიონი და შევაფასოთ თუ, რა მდგომარეობაა უპილოტო ავიაციის მხრივ შავი ზღვისპირეთში.

ევროპის კომისიის მიდგომით შავი ზღვის რეგიონში განიხილება შავი ზღვაზე გამსვლელი და ახლოს მყოფი შემდეგი ათი სახელმწიფო: თურქეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდოვა, უკრაინა, რუსეთი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. შავი ზღვის რეგიონი განთავსებულია ევროპისა და აზიის გადაკვეთაზე, სადაც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო ინტერესები იკვეთება. რეგიონი გამოირჩევა რთული რეგიონალური კონფლიქტებით, რაც რეგიონის ქვეყნების სამხედრო შეიარაღების მდგომარეობას უნიშვნელოვანეს საკითხად აქცევს. არსებული რეგიონალური სამხედრო კონფლიქტების სამხედრო მოქმედებებში იკვეთება ტაქტიკის თავისებურებები, რომელიც მჭიდრო კავშირშია თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიური მიღწევების სწორ და დროულ გამოყენებასთან. ამ მხრივ შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობის და საბრძოლო მოქმედებების შეფასებისას, აშკარად იკვეთება ისეთი განსაკუთრებული სამხედრო ტექნოლოგიების მიმართულებაზე აქცენტირება, როგორიცაა დამრტყმელი (საბრძოლო) უპილოტო საავიაციო სისტემები. შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის რეგიონში ამ ტექნოლოგიების ათვისების და გამოყენების წარმატებები გახდა მსოფლიო დონეზე განხილვის და აღიარების მიზეზი.

თურქეთი, რეგიონში უპილოტო საჰაერო ხომალდების გამოყენების ლიდერია. საინტერესოა, რომ თურქეთი გამოირჩევა არა მხოლოდ როგორც ამ ტიპის აღჭურვილობის წარმატებული მწარმოებელი, არამედ წარმატებით ამარაგებს კიდევაც შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს, როგორიცაა აზერბაიჯანი და უკრაინა. თურქეთი მსოფლიოში მეექვსე ქვეყანა გახდა შეერთებული შტატების, რუსეთის, ჩინეთის, ისრაელის, პაკისტანისა და ირანის შემდეგ, რომლებმაც დამოუკიდებლად შექმნეს შემტევი უპილოტო საფრენი აპარატები და გამოიყენეს იგი რეალურ საბრძოლო სიტუაციებში. 2020 წლის შუა რიცხვებიდან თურქული თვითმფრინავების რამდენიმე პერსპექტიული მოდელი (Anka 2, Anka S, Akinci) ტესტირების და ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპზეა, ხოლო სხვები (BTB 2, Karayel და ა.შ.) უკვე გადავიდნენ სერიულ წარმოებაში და მასიურად იყენებენ. ანკარამ დაიწყო საკუთარი უპილოტო საჰაერო ხომალდების შექმნა მას შემდეგ, რაც აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა უარი განაცხადეს მისთვის მოწინავე საჰაერო სისტემებისა და იარაღის მიწოდებაზე. თუ ადრე ქვეყანამ შეიძინა იარაღის 80% საზღვარგარეთ და აწარმოა დარჩენილი 20%, ახლა პროცენტულობამ იცვალა ადგილები.

საბრძოლო უპილოტო საფრენი აპარატი Bayraktar TB2

საბრძოლო უპილოტო საფრენი აპარატი Bayraktar Akinci

აზერბაიჯანში უპილოტო საჰაერო ხომალდებს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. მან არაერთი უპილოტო სისტემა შეიძინა ისრაელისა და თურქეთისგან. დღეს იგი გახდა რეგიონის მეორე ქვეყანა თურქეთის შემდეგ, რომელიც აღიჭურვა მაღალტექნოლოგიური თურქული, ისრაელის და თვითნაკეთი თვითმფრინავებით: IAI Searcher 2, Hermes 450, IAI Heron, Hermes 900, Bairaktar TB-2, Anka-C, Harop, Skystriker, Iti Qovan.

საბრძოლო უპილოტო საფრენი აპარატი Iti Qovan

გასული საუკუნეების 80-იან წლებში საბჭოთა კავშირი ერთ-ერთი ლიდერი იყო უპილოტო საჰაერო ხომალდების (UAV) განვითარებაში. საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ორიენტირებული იყო ისეთი დიდი მოწყობილობების შექმნაზე, როგორიცაა Tu-143 "Reis" ან Tu-141 "Strizh". რუსეთი უპილოტო საჰაერო ხომალდების წარმოების სფეროში კვლავ ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს, თუმცა აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. რუსეთმა ახლახანს მიიღო საკუთარი საბრძოლო თვითმფრინავი "ორიონი" და უახლოეს წლებში გეგმავს უპილოტო საფრენი აპარატების: "ალტიუს-უ" და "С-70 охотник" - ის დანერგვას.

უპილოტო საფრენი აპარატი Orion

უკრაინაში სამხედრო უპილოტო საფრენი აპარატების ინდუსტრიული განვითარება უკრაინაში მხოლოდ 2016 წელს დაიწყო ანტონოვის თვითმფრინავების დიზაინის ბიუროს მიერ. უკრაინის თავდაცვის ინდუსტრიამ აშკარად გადაწყვიტა ამ მარშრუტის გავლა. 2019 წლის დასაწყისში თურქეთში წარმოებული საბრძოლო სადაზვერვო თვითმფრინავების პირველი პარტია ჩამოვიდა უკრაინაში, საკონტროლო სადგურითა და მათი შეიარაღების საბრძოლო მასალებით.

საკმაოდ საინტერესო სიტუაციაა საქართველოსთან დაკავშირებით. აქ იყო მცდელობები შეექმნათ თანამედროვე უპილოტო ტექნოლოგიები. 2008 წლამდე საქართველომ მიიღო არაერთი Hermes 450 ტაქტიკური უპილოტო საფრენი აპარატი, ასევე SkyLark მინი-უპილოტო ავიაცია.

საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომელსაც აქვს საავიაციო ტექნიკის და მათ შორის უპილოტო საავიაციო სისტემების წარმოების გამოცდილება. ამ მხრივ აღსანიშნავია სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის „დელტას“ მიერ შექმნილი საშუალო მანძილზე მოქმედი ტაქტიკური სადაზვერვო უპილოტო საფრენი აპარატი.

სადაზვერვო უპილოტო საფრენი აპარატი Hermes 450

საქართველოში (სსსტც „დელტა“) შექმნილი უპილოტო საფრენი აპარატი

სომხეთი ძირითადად იყენებს უპილოტო დაზვერვის საშუალებებს, რაც რესპუბლიკაში განლაგებულ რუს სამხედროებს აქვთ. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთს აქვს რამდენიმე საკუთარი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული უშიშროების სისტემების შექმნას ეროვნული შეიარაღებული ძალების საჭიროებებისათვის. სომხეთი აქტიურად ავითარებს უპილოტო საჰაერო ხომალდებს და ამარაგებს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს მცირე რაოდენობის საკუთარი წარმოების თვითმფრინავით Krunk, X-55.

უპილოტო საფრენი აპარატი Krunk

ანალიზი გვაძლევს ნათელ სურათს თუ რა როლს ასრულებს თანამედროვე უპილოტო საავიაციო ტექნოლოგიები რეგიონის უსაფრთხოების და კონფლიქტების გადაჭრაში. რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებში უპილოტო ავიაციის აქტიური გამოყენებით ხდება გარკვეული კორექტირება საბრძოლო ოპერაციების წარმართვაში, როგორც ტაქტიკურ, ისე ოპერატიულ-სტრატეგიულ დონეზე. რეგიონი ხდება მსოფლიო დონის მოთამაშე უპილოტო საავიაციო ტექნოლოგიების განვითარების და მათი საბრძოლო გამოყენების მიმართულებით. არსებული მოცემულობიდან გამომდინარე საქართველოს, როგორც საავიაციო ტექნოლოგიების მწარმოებელ და უპილოტო ავიაციის გამოყენების გამოცდილების მქონე ქვეყნას შეუძლია განსაზღვროს თავის სტრატეგიულ ინტერესში უპილოტო ავიაციის განვითარება.

გ.სანოძე; გ.გრატიაშვილი

ასტროლოგიური ნიშნები და მათი მკვიდრი ანგელოზების დანიშნულება

ცნობილია, რომ ასტროლოგია უძველესი ცოდნაა, რომელიც დაახლოებით 4000 წელს ითვლის და რომელიც თავის თავში დღესიათვის ჩვენთვის კარგად ნაცნობ საბუნებისმეტყველო დარგებს აერთიანებდა. მისი ამოცანა და მისტიურობა სამყაროს სტრუქტურის არსის აღწერაში მდგომარეობდა. ხოლო საფუძვლები შეიძლება ითქვას, რომ დამყარებული იყო ძველი ეპოქის ე.წ. ბიბლიურ წინასწარმეტყველთა გადმოცემებზე, როგორიც იყო ენოქი (სამყაროს დასაბამიდან დაახ. 622 - 987 წწ; დაახ. 3377-3012 ძვ.წ.) და სხვა რელიგიურ თუ ფილოსოფიურ მიმდინარეობაზე (ქალდეველები, გნოსტიციზმი, იუდაიზმი, ზოროასტრიზმი და მათ შორის კოპტები - რომელთა დიალექტზეც ნაწერი უძველესი ხელნაწერი ტექსტების წყალობით, მოაღწია ჩვენამდე ენოქის პირველმა წიგნმა. აღნიშნული წყაროები ცნობილია როგორც აპოკრიპტული ნაშრომები, რომელიც საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია, ვინაიდან არაა შეტანილი ჩვენს წმ. წერილებში.

ანგელოზები როგორც ჩვენთვის ცნობილია არიან ღმერთის სიტყვის მაცნეები, რომელთა პირითაც დედა ღვთისას ეუწყა მაცხოვრის ჩასხვა მის წიაღში. მკვდრეთით აღმდგარ ქრისტეს სანახავად მისულთ ქალებსაც, ასევე დახვდათ ანგელოზი გაბრიელი, რომელმაც მისი აღდგომა აუწყა და სხვა ფაქტები.

სვეტიცხოვლის ფრესკა

ინფორმაცია ანგელოზთა და მითუმეტეს მათ სახელთა შესახებ შეგვიძლია ვეძებოთ ბიბლიის სხვადასხვა თავებში, ესაიას წიგნში, ასევე სხვადასხვა რელიგიაში და მათ სწავლებებში. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სხვადასხვა წყაროებისა, არსებობს ანგელოზების უმარავი სახელები, თითქმის შეუძლებელია მათ დათვლა. ყველაზე მეტი ინფორმაციის ნახვა ანგელოზთა შესახებ შესაძლებელია ენოქის პირველ, მეორე და მესამე წიგნში, ასევე თალმუდში, თუმცა ასევე არ შეიძლება არ ვახსენოთ მერკაბა - Mekhabah ან ჰეკალოტის - Hekalot ტექსტები.

როგორც ტექსტები მოგვითხრობს, ანგელოზები ღვთისგან ქმნილი, ადამიანთა შემწე არსებანი ყოფილან. დაბნეულობას იწვევს მათი სახელების გამოთქმის სისწორეც რადგან სხვადასხვა ენაზე დაწერილი წყაროებიდან არიან ნათარგმნი, მათ შორის რომაულ და ბერძნულ ენებზე. ბევრი ანგელოზების სახელები წარმოდგება სემიტური ენებიდან, უმეტესად ებრაულ, არამეულ, სემიტურ და სირიული ენებიდან. ამ ენებს აქვს სამი თანხმოვნიდან შემდგარი სიტყვის ძირი, და მათში ხმოვნების ჩამატებით მიიღება სხვადასხვა მნიშვნელობები. ასე მოხდა ერთი ენიდან მეორე ენაზე სახელების გავრცელება, რომლებიც სხვადასხვა ენაზე სხვადასხვანაირად წარმოითქმის. თუმცაღა აქ იმდენად მათი სახელების სისწორე კი არაა მნიშვნელოვანი არამედ, მათი კავშირი

თანავარსკვლავედებთან, რომლის შესახებაც ჩვენი წმ.ბერი გაბრიელის მოგონებებიც მახსენდება. ვიცით რომ, პირველი დაპირისპირება ზეცაში ღმერთსა და სინათლის მთავარანგელოზს შორის მოხდა, რომელთა ამბოხის ჩახშობაც მთავარანგელოზ მიქაელის ხელით განხორციელდა. ამის შესახებ წმ. ბერი გაბრიელი იძახდა, რომ ღმერთმა ანგელოზთა მესამედი პლანეტებზე გადმოყარაო.

ღია წყაროებზე დაყრდნობით სტატიაში თავმოყრილია 12 თანავარსკვლავედის და მათთან დაკავშირებული ანგელოზთა სახელები და მათი ამოცანები სამყაროში.

ვერძი - მთავარანგელოზი მიქაელი (სიკეთის ნათელის მებრძოლი, უძლეველი და ურყევი, შეუპოვარი ნებისმიერი გამარჯვების მიღწევის გზაზე)

კურო - მთავარანგელოზი ანანიელი (განასახიერებს სინაზეს, მოთმინებას და სიკეთეს, აღავსებს კუროებს სიბრძნით და მოწყალებით, ანიჭებს ძალას სხვებისთვის საზრუნავად და ჰგვრის სიხარულს ყოველდღიურობაში.)

ტყუპები - მთავარანგელოზი რაფაელი (ღვთის სიტყვის წინასწარმეტყველი, დაჯილდოებული კურნების ძალით, დარწმუნების და სიბრძნის მოძღვრებით. ტყუპები რაფაელის მფარველობის ქვეშ ხსნიან საკუთარ თავში გასაოცარ უნარჩვევებს, კომუნიკაციის უნარებს და აღწევენ დაუჯერებელ წარმატებებს)

კირჩხიბი - მთავარანგელოზი გაბრიელი (მისი მფარველობის ქვეშ კირჩხიბი ანვითარებს, სინაზეს, ერთგულებას და მგრძნობიარობას. მისი ენერგია ავსებს კირჩხიბს სიყვარულის და ჰარმონიულობის განცდით, რომელსაც გასცემს ნათესავებსა და ახლობლებზე).

ლომი - მთავარანგელოზი არიელი (ანიჭებს ლომებს გონიერებას, სიდიადეს და უძლეველობას სულის, მისი მფარველობის ქვეშ ლომი ავლენს გადაწყვეტილების მიღების უნარს, ნებას და ლიდერობას, რისი წყალობითაც, ლომები იოლად აღწევენ მიზანს ყველაფერში და ნათლად გამოხატავენ თითგამოხატულებას საზოგადოებაში)

ქალწული - მთავარანგელოზი მეტატრონი (ანიჭებს ქალწულებს შეიქმნან მათ გარშემო ჰარმონია და წესრიგი. მეტატრონის ენერგია, ძალა ასტიმულირებს ქალწულებში, ორგანიზაციულ უნარ-ჩვევებს, თვითშემეცნებას და ანალიტიკურობას. ამიტომ მათი ფრთის ქვეშ, ფარველობით და შემწეობით, ქალწული რეალიზდება სრულფასოვნად და აღწევს სულიერ თითგამოხატულებას და კარიერულ წარმატებას)

სასწორი - მთავარანგელოზი ანაელი (წინასწარმეტყველებებათა მაუწყებელი ანგელოზი, ანიჭებს სასწორებს ინტუიციას და მომავლის წინასწარგანზრახულობის (წინასწარმეტყველების) ხედვის უნარს, ეხმარება საგნების არსის გაგებაში და ბრძნული გადაწყვეტილებების მიღებაში. მისი მფარველობის ქვეშ, სასწორები ხდებიან უფრო დიპლომატიურები, თანამგრძნობიარენი და შესწევთ უნარი იპოვონ ჰარმონია ნებისმიერ ურთიერთობაში).

მორიელი - მთავარანგელოზი სამოელი (ბოლო ჟამის ანგელოზი, მბიძგებელი ტრანსფორმაციულობისკენ და სრული განახლებისკენ, რის გარეშეც შეუძლებელია წარმატების მიღწევა. მორიელებს ენიჭებათ სიბრძნე და უძლეველობა და ძალუძთ ცხოვრებაში შეუძლებელის მიღწევა დიდებით. სამოელის ენერგია მორიელებისათვის ხდება საკუთარი სიცოცხლის და გარემოების სიღრმისეული შესწავლის სულისაღმძვრელი, რისი წყალობითაც ეს ნიშანი გვევლინება, როგორც ბრძენი და უძლეველი)

მშვილდოსანი - მთავარანგელოზი განაელი (აღავსებს ძალით, ენერგიით და მთელი ცხოვრების მანძილზე იღბალით. მშვილდოსანი ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სიცოცხლის მოყვარული ნიშანი, რის გამოც მთავარანგელოზი ეხმარება მას, მის ყოველ წამოწყებაში, სამყაროს კვლევასა და თავგადასავლებში. იგი მიმართავს მშვილდოსანს სწორი გზისაკენ და იცავს მცდარი წარმოდგენებისაგან)

თხის რქა - მთავარანგელოზი კასიელი (აღმასვლის ანგელოზი, რომელიც წარმართავს თავის შეგირდს უმაღლესი მიზნისკენ. ამიტომაც თხის რქების შორის ძალიან ბევრი წარმატებული ადამიანები გვხვდებიან. ასეთივე წარმატებით ჭრის და აღწევს მნიშვნელოვან გამოცდებს, რომელსაც ის წარმატებით და შეუპოვრობით სძლევს და ადის სიმდიდრისა და სიდიადის „ოლიმპოს მთაზე“)

მერწყული - მთავარანგელოზი ურიელი (თავისუფლებისა და განამანათლებლობის ანგელოზი. იგი აღვიძებს თავის ქვეშევრდომებში მისტიკურ და ინტუიციურ უნარებს, რისი წყალობითაც მერწყულებს შორის გვხვდებიან ბევრი აღმომჩენები, ნოვატორები, სულიერი ლიდერები. მთავარანგელოზი ეხმარება მერწყულებს იფიქრონ არასტანდარტულად და ბოლომდე მისდიონ თავიანთ დანიშნულებას სამყაროში)

თევზები - მთავარანგელოზი სანდალფონ (ყველაზე მისტიური ნიშნის მფარველი, რომლის მფარველობის ქვეშაც თევზები ივითარებენ სულიერ და ინტუიციურ არსს, რომელიც ეხმარებათ სამყაროს სიღრმისეულად შეცნობაში. სანდალფონის ძალა ანიჭებს თევზებს სასწაული შემოქმედების თვისებებს. ამ ყოველივეს მიღმა იცავს ეჭვებისაგან და გაურკვევლობისაგან და ეხმარება გონების სიცხადის და შინაგანი სინათლის შენარჩუნებაში)

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას და აღინიშნოს, რომ ანგელოზთა სახელები, შესაძლოა შეიცავდეს გარკვეულ უზუსტობას, ისევე როგორც მათი კავშირი სამყაროს სტრუქტურებულ მართვაში. თუმცა ერთი რამ ცხადია, რომ არა ერთი ხელნაწერი მეტყველებს ზეციური იერარქიის არსებობის შესახებ და დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიც მიანიშნებს სიცოცხლის ფორმათა დანიშნულებაზე და გარკვეულ ამოცანებზე ღმერთის ქმნილი სამყაროს წინაშე. შეგვიძლია თამამად ითქვას, რომ ნებისმიერი ქმნილება არის მსახური ღვთს ქმნილი სიცოცხლისა სამყაროში, თავის თავის ჩათვლით. ამიტომაც უთქვავს უფალს: „გიყვარდეთ მოყვასი თქვენი ვითარცა თავი თვისიო“.

გ.გრატიაშვილი

ISSN 2587551-5

მუდამ თქვეს სამსახურში!
"საზოგადოებრივი
უსაფრთხოების
ანალიტიკური ცენტრი"